შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

მტკვარზე უძველესი ხიდი დაარსებული იყო მეტეხის კლდეზე, იქ სადაც მდინარის კალაპოტი ყველაზე მეტად ვიწროვდება. მდინარის ორივე მხარეს ციხესიმაგრეები იყო განლაგებული. ნაგებობების ეს სისტემა მდინარისა და მის გასწვრივ გამავალი გზის ეფექტური კონტროლის საშუალებას იძლეოდა. როგორც სჩანს ამ ადგილზე ხიდი ციხესიმაგრეების აგების დროიდანვე არსებობდა. ის კალას აკავშირებდა ისანის ციხესთან. ცნობები ამ ხიდის შესახებ ჯერ კიდევ VIII საუკუნეში გვხვდება, კერძოდ, იგი მოხსენიებულია ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „აბო თბილელის წამება“.

თბილისში საუკუნეების განმავლობაში ეს იყო ერთადერთი ხიდი, რაც მტკვრის ორ სანაპიროს ერთმანეთთან აკავშირებდა. იგი მომხდურს არა-ერთხელ დაუნგრევიათ. ხიდს ზოგჯერ თბილისელები თავად შლიდნენ, რადგან მტერი მეორე ნაპირზე არ გადმოსულიყო. სპარსელების უკანასკნელ შემოსევისას, 1795 წელს ხიდმა ქალაქის ტრაგიკული ბედი გაიზიარა. მოგვიანებით ის აღადგინეს, მაგრამ 1805 წელს ადიდებულმა მტკვარმა წაიღო. მის ნაცვლათ ხის თაღოვანი ხიდი ააგეს რომელიც 1870 წელს ლითონის კონსტრუქციით შეცვალეს.

ხიდმა დღევანდელი სახე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო. 1951 წელს აშენდა თანამედროვე ნაგებობა რომელსაც „მეტეხის ხიდი“ ეწოდა.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ ილია ჭავჭავაძის ლექსი „ყვარლის მთებს“:

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!
მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა...
იგი არ იყო შიშის ჟრჟოლა, შიშის კანკალი,
იგი არ იყო ძვრა გულისა მფრთხალი და მხდალი.
მე თრთოლით ვსჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შევნატრიდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს,
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა,
სადაც წეროთა ქარავანი, ცას დაღუპული,
თქვენ თავთან იყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული, –
იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა.
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა.

როცა ჰღმუოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი,
ვითარ მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი,
ვითა ფოთოლი – ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს,
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს.
თუ მაშინ ყრმისთვის უცხო იყო თავმოწონება,
აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი.
როს ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს
სჩაგრავდა ხოლმე, თქვენ-წინ ვღვრიდი ჩემ ცრემლთ ნაკადულს,
თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს,
როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს...
და ეს აჩრდილნი საოცნებელთ წარსულთა წამთა
ჩემს სიკვდილამდე მემარხება გულშია ღრმათა!..

რარიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის სოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!
ყოვლი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მაშორებს,
ყოველი წუთი გკარგავს თქვენა და მეც მაობლებს...
აგერ თქვენც ჰქრებით თან-და-თანა... თქვენსა მწვერვალსა
ძლივს ვარჩევ... წუთიც!.. მხოლოდღა ვსჭვრეტ ციაგსა ცასა.
ამაოდ ვებრძვი მანძილსა და ჰაერის სისქეს
და მოუსვენრად ვატანტალებ მწუხარს თვალსა ჩემს!..
თქვენნი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენივრად ცას
აღარ უმკობენ ერთნაირსა ციაგს კამარას!..

მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგიღიმებთ შორ ქვეყნიდამ თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა არის პირველი სტროფის მთავარი სათქმელი?

ა) ბუნებასთან კავშირის გაწყვეტა ადამიანს ტკივილს უმძაფრებს.

ბ) გული მხოლოდ ძვირფასი მოგონებების ხსოვნას ინახავს.

გ) სამშობლოს განცდა ადამიანს მარადიულად თან დაჰყვება.

დ) შვილები ყოველთვის თავიანთ უკეთეს მომავალზე ფიქრობენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. რა ჰგვრიდა ბავშვობაში ლირიკულ გმირს *„კანკალს, ჟრჟოლასა“*?

ა) გრიგალების ამაყად ქროლა.

ბ) მშობლიური მთების სიდიადე.

გ) ღრუბლიანი მწვერვალების შიში.

დ) წეროთა გუნდის ხმიანობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. როგორ გესმით სიტყვები: *„ყრმობის სიმარტივითა“*?

ა) ახალგაზრდული თავდაჯერებით.
ბ) ბავშვური გულწრფელობით.
გ) ყმაწვილური გატაცებით.
დ) ჭაბუკური თავმოწონებით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. როგორი იყო ლირიკული გმირისათვის აბობოქრებული ბუნების ხმები?

ა) ავი და დამთრგუნველი.
ბ) ახლობელი და ძვირფასი.
გ) სანეტარო და მაცდუნებელი.
დ) უცხო და საშიში.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რა მხატვრული საშუალებაა: *„ვითა ფოთოლი – ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს...“*?

ა) გაპიროვნება.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რის გამო მოსწონს თავი ლირიკულ გმირს?

ა) რომ ამ შთამბეჭდავი ბუნების შვილად დაიბადა.
ბ) რომ სულ მალე უცხო ქვეყანას მოინახულებს.
გ) რომ ყმაწვილური მწუხარების დავიწყება შეძლო.
დ) რომ ცხარე ცრემლებს არასდროს მალავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა გარემო მწუხარე ყმაწვილის მიმართ?

ა) მის თხოვნას ყურს არ უგდებდა და გულს უჩაგრავდა.
ბ) მის ტკივილს თანაუგრძნობდა და ცრემლებს უშრობდა.
გ) მის ჩივილს უხმოდ უსმენდა, თუმცა არ ანუგეშებდა.
დ) მის წუხილს ყველას აგებინებდა, თუმცა ვერ შველოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. ლირიკული გმირის როგორი ბუნება ჩანს ფრაზაში:

„და ეს აჩრდილნი საოცნებელთ წარსულთა წამთა
ჩემს სიკვდილამდე მემარხება გულშია ღრმათა!..“?

ა) მგრძნობიარე და ღრმა პიროვნებაა.

ბ) მეოცნებე და მხიარული ყმაწვილია.

გ) მტკიცე და უემოციო ადამიანია.

დ) სუსტი და გულჩვილი ახალგაზრდაა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. რა მსხვერპლს ითხოვს ლირიკული გმირისაგან *„ვალი ამ წუთის სოფლის“*?

ა) მეგობრებთან დაპირისპირებას, რათა მიზნები აისრულოს.
ბ) სამშობლოდან წასვლას, რათა ღირსეული მომავალი შეიქმნას.
გ) საყვარელ ადამიანთან დაშორებას, რათა უკეთეს ბედს ეწიოს.
დ) უცხოეთში გადახვეწას, რათა ამაო ბრძოლა თავიდან აირიდოს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რომელ სტრიქონებში ჩანს, რომ ლირიკული გმირი სამშობლოს არ დაივიწყებს?

ა) „აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი...“

ბ) „მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა,
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!“

გ) „მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა...“

დ) „რარიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის სოფლის...“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. მშობლიურ გარემოსთან სულიერი კავშირი სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას განსაკუთრებით ამძაფრებს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობიდან „იგი“:

წინ ბელადი მიდიოდა.

ბელადი ყველაზე მეტად იყო მოხრილი. ხელები ლამის მიწაზე დასთრევდა.

იგის უცებ სახეზე ალმურის სუნი აუვიდა და მუცელში ცხელმა გემომ დაუარა.

იგი ისეთი არ იყო, როგორიც იყვნენ სხვები!

გამართული იდგა. შუბლი შორეული მთის წვერისთვის მიეშვირა.

ცხელი გემო კიდევ უფრო სწრაფად დატრიალდა მუცელში. ტანზე ცივმა შიშმა გადაურბინა და ბალანი აუჯაგრა.

და მარტოობის შემაშფოთებელი სუნი ეცა.

„კიდევ კარგი, არავის შეუმჩნევია გამართული იგი, – უხმოდ თქვა იგიმ თავის სხეულში. – იგი ახლავე მოიხრება და ისეთი გახდება, როგორიც არიან სხვები. მაშინ აღარც მარტოობა ეტკინება და აღარც შიში აუჯაგრავს ბალანს“.

იგი შეჩერდა, წინ მიმავალ თანამოძმეებს დააკვირდა. ყველანი მშვენივრად იყვნენ მოხრილები. „იგიც მათ უნდა დაემსგავსოს, რაკი მათი თანამოძმეა“, – თავის სხეულში თქვა იგიმ.

მაგრამ ოდნავ მოიხარა თუ არა, ზურგში ავი ნადირივით ჩააფრინდა ტკივილი.

იგიმ შეჰყვირა და გაიმართა.

ყვირილზე კაცებმა მოიხედეს. მოტრიალებით არ მოტრიალებულან; შედგნენ და მარტო თავები მოაბრუნეს.

იგის ბევრი სახე უყურებდა.

მერე ბელადმა ხმადაბლა დაიღრინა და გზა განაგრძო.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ხოლო იგი თავის სხეულში კიდევ დიდხანს ხედავდა მისკენ მობრუნებულ სახეებს. სახეები ისე მოსჩერებოდნენ, თითქოს აქამდე არასოდეს ენახათ.

საღამოს, როდესაც ცამ დღის თვალი დახუჭა და ღამის მკრთალი თვალი გაახილა, იგის სხეულში წუხილმა დაიდო ბინა.

წუხილი ისეთი ყოფილა, როგორიცაა მძინარე ტკივილი.

იგი წრიალებდა და ვერ ისვენებდა. თუ ფეხზე იდგა, დაჯდომა უნდოდა; თუ იჯდა, ფეხზე დგომა უნდოდა; თუ მიდიოდა, გაჩერება უნდოდა; გაჩერებული თუ იყო, წასვლა უნდოდა; საცა იყო, იქ ყოფნა არ უნდოდა; იქ უნდოდა, საცა არ იყო. მაგრამ როგორც კი მივიდოდა იქ, საცა არ იყო, უკვე იქ იყო, საცა იყო, და იქ ყოფნა აღარ უნდოდა.

ძალიან ცუდად ექცეოდა წუხილი იგის.

ხანდახან სხეულში ბელადი გაჩნდებოდა და მკაფიოდ ესმოდა მისი ხმადაბალი ღრენა. მაშინ წუხილი ისეთი იყო, დამშეული ნადირი რომ ძვალს ღრღნიდეს.

იმ ღამეს იგიმ ვერ იქნა და ვერ დაიძინა. იწვა თვალდახუჭული და უყურებდა, როგორ დაძვრებოდა სხეულში წუხილი.

დანარჩენებს ყველას ეძინა. მიმოფენილიყვნენ ბნელ გამოქვაბულში კაცები და ქალები, დიდები და პატარები.

„ნისაც სძინავს“. – თავის სხეულში თქვა იგიმ.

წუხილი უცებ სადღაც დაიმალა, მაგრამ მალევე გამოჩნდა. იგის გაუკვირდა, წუხილი რომ დაიმალა, მერე კიდევ თქვა: „ნის თვალები ისეთია, როგორიცაა ცა“.

წუხილი კვლავ დაიმალა და იგი მიხვდა, რომ ნის გახსენება ებრძოდა წუხილს.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

„ნი, ნი, ნი, ნი...“ – იმეორებდა იგი. შეშინებული წუხილი უგზოუკვლოდ დაიკარგა და იგი ერთხანს მოსვენებით იწვა. მაგრამ წუხილი ნელ-ნელა შეეჩვია ნის გახსენებას და ისევ შემოიპარა სხეულში. ახლა იგი სულ ტყუილად იმეორებდა: „ნი, ნი, ნი...“ წუხილი ძველებურად თავის ნებაზე დათარეშობდა. მერე ძვალს მიაგნო სხეულში და ღრღნა დაუწყო.

მეტის მოთმენა აღარ შეეძლო იგის. სადღაც უნდა წასულიყო, რაღაც უნდა ექნა.

წამოდგა, სიბნელეს თვალი შეაჩვია; ფეხაკრეფით დაიძრა გასასვლელისკენ. ფრთხილად მიიწევდა, რომ ძირს დაფენილი თანამოძმეებისთვის ფეხი არ დაედგა. როგორც იქნა, მიაღწია გასასვლელს და გავიდა.

ტყის მხრიდან ნიავი უბერავდა და ტყის მწვანე სუნი მოჰქონდა.

იგი შეჩერდა, სახე ნიავს მიუშვირა, ტყის მწვანე სუნი ღრმად შეისუნთქა. მწვანე სუნმა რაღაც შემოიტანა სხეულში, რაც სიხარულის გემოს ჰგავდა. წუხილი შეკრთა და ძვალს პირი გაუშვა. მერე მიხვდა, რომ საშიში არაფერი იყო, და ისევ დაუწყო ღრღნა.

იგი ტყისკენ წავიდა. რბილ ბალახზე მიაბიჯებდა. თვალები ვერ ხედავდნენ ბალახს, მაგრამ ფეხისგულები ხედავდნენ.

ტყეში შევიდა. მწვანე სუნში ჩაეფლო.

თავიდან კარგი იყო. მერე წუხილმა მწვანე სუნიც წუხილად აქცია, მართალია ძვალს აღარ ღრღნიდა, მაგრამ სხეულში დაძვრებოდა და, საცა გაივლიდა, ისეთ გემოს ტოვებდა, იღლიას რომ სველი ფოთოლი გამოედოს და ტანს ჟრჟოლამ დაუაროს.

ვერც ტყეში მოისვენა.

მაშინ ზღვის პირას გავიდა და ზღვის სველ სიმშვიდეში შეაბიჯა. სიგრილე ეამა. წუხილი მცირე ხნით მიყუჩდა. მერე კვლავ გაიკლაკნა და ამოძრავდა.

ზღვის სიგრილეც წუხილად იქცა.

წუხილი ავი იყო.

ბოლოს იგი იქვე პატარა გამოქვაბულში შევიდა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

გამოქვაბულში ჩუმად იწვა სიბნელე და ეძინა.

„იგი ისეთი უნდა გახდეს, როგორიც არიან სხვები. მაშინ იგი მარტო აღარ იქნება და წუხილიც თავს დაანებებს“.

იგიმ სცადა მოხრილიყო. ტკივილი დილანდელივით ჩააფრინდა ზურგში. იგიმ დაიკვნესა და გაიმართა.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ სცადა. მერე კიდევ სცადა.

ტკივილი ყვიროდა.

იგი ებრძოდა ტკივილს, მაგრამ ტკივილი ძლიერი იყო.

„იგის მაინც ტკივილი ურჩევნია წუხილს“. – თავის სხეულში თქვა იგიმ და კვლავ მოიხარა.

ტკივილი იცოდა, რაც იყო.

ტკივილი ისაა, ბრძოლის დროს რომ ნადირი კბილს გაჰკრავს და ფეხიდან წითელი სისხლი გამოუვა. ტკივილი ავია, მაგრამ დიდხანს არ ჩერდება სხეულში. ნაკბენი ადგილი კარგად უნდა გალოკოს და დანერწყვოს. ტკივილს შეეშინდება და გაეცლება.

წუხილი კი ვერაფრით ვერ შეაშინა იგიმ. წუხილი არხეინად იჯდა სხეულში და ნადირივით ღრღნიდა ძვლებს.

ამიტომ ერჩივნა ტკივილი.

მოიხრებოდა იგი, იყო ასე, სანამ ტკივილს გაუძლებდა, მერე გაიმართებოდა, ცოტას შეისვენებდა და ისევ მოიხრებოდა.

როცა შიშველი მთის თავზე დღის თვალი გამოჩნდა, იგი დიდ გამოქვაბულში დაბრუნდა და დანარჩენ კაცებთან ერთად სანადიროდ წავიდა.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. **რატომ დაუარა იგის *„მუცელში ცხელმა გემომ“*?**

ა) შენიშნა, რომ თანამოძმეები უყურებდნენ.

ბ) მიხვდა, რომ მარტოობა ტკივილს ჰგვრიდა.

გ) აღმოაჩინა, რომ სხვებისგან განსხვავდებოდა.

დ) დაინახა, რომ ბელადი მოხრილი იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. რატომ სურს იგის, რომ სხვებივით მოხრილმა იაროს?

ა) ასე ბელადის პატივისცემას დაიმსახურებს.
ბ) ასე საფრთხეს თავიდან აიცილებს.
გ) ასე ნის სიყვარულს მოიპოვებს.
დ) ასე ბელადის ადგილს დაიკავებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „ბელადი ყველაზე მეტად იყო მოხრილი“.
ბ) „ზურგში ავი ნადირივით ჩააფრინდა ტკივილი“.
გ) „კიდევ კარგი, არავის შეუმჩნევია გამართული იგი“.
დ) „სადღაც უნდა წასულიყო, რაღაც უნდა ექნა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. იგის ყვირილზე ბელადმა რომ *„დაიღრინა“*, მიუთითებს ბელადის:

ა) გულგრილობაზე.
ბ) უკმაყოფილებაზე.
გ) დაუნდობლობაზე.
დ) მუხანათობაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. რომელ ფრაზაში ჩანს, რომ იგი აფორიაქებულია?

ა) „ბალახზე მიაბიჯებდა. თვალები ვერ ხედავდნენ ბალახს, მაგრამ ფეხისგულები ხედავდნენ“.

ბ) „იგი შეჩერდა... ტყის მწვანე სუნი ღრმად შეისუნთქა. მწვანე სუნმა რაღაც შემოიტანა სხეულში...“

გ) „როგორც კი მივიდოდა იქ, საცა არ იყო, უკვე იქ იყო, საცა იყო, და იქ ყოფნა აღარ უნდოდა“.

დ) „შეჩერდა. წინ მიმავალ თანამოძმეებს დააკვირდა. ყველანი მშვენივრად იყვნენ მოხრილები“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 7. რომელ ფრაზაში ჩანს, რომ იგის სილამაზის აღქმა შეუძლია?

ა) „ნის თვალები ისეთია, როგორიცაა ცა“.
ბ) „იგი სულ ტყუილად იმეორებდა: „ნი, ნი, ნი...“
გ) „ისეთი უნდა გახდეს, როგორიც არიან სხვები“.
დ) „ხანდახან სხეულში ბელადი გაჩნდებოდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 8. რა მხატვრული საშუალებაა *„სველ სიმშვიდეში შეაბიჯა“?*

ა) შედარება.

ბ) გაპიროვნება.

გ) მეტაფორა.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. რა შემთხვევაში *„აღარ იქნება“* **იგი მარტო და მას** *„წუხილიც თავს დაანებებს“*?

ა) თუ სხვების მსგავსად მოხრილი ივლის.

ბ) თუ თანამოძმეებს შიშს ჩაუნერგავს.

გ) თუ ბელადს წინააღმდეგობას გაუწევს.

დ) თუ სხვებისგან მალულად გაიმართება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. რატომ ერჩია იგის ტკივილი წუხილს?

ა) ტკივილი ერთხელ განიცადა, წუხილი კი სულ მასთან იყო.
ბ) ტკივილს მიჩვეული იყო და მას ადვილად უმკლავდებოდა.
გ) ტკივილი სიკვდილის შიშს უქარვებდა და შვებას ჰგვრიდა.
დ) ტკივილს შვება მოჰქონდა, წუხილი კი ფიზიკურად ტანჯავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. **რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით:** *„როცა შიშველი მთის თავზე დღის თვალი გამოჩნდა, იგი დიდ გამოქვაბულში დაბრუნდა და დანარჩენ კაცებთან ერთად სანადიროდ წავიდა“*?

ა) წუხილსა და ტკივილთან ჭიდილის შემდეგ იგი გამოქვაბულში სასოწარკვეთილი დაბრუნდა.
ბ) წუხილსა და ტკივილთან ბრძოლის შემდეგ იგი საკუთარი უპირატესობის ჩვენებას შეეცადა.
გ) წუხილისა და მარტოობის შიშის დაძლევის შემდეგ იგიმ სცადა ჩვეულ ცხოვრებას დაჰბრუნებოდა.
დ) წუხილისა და მარტოობის დაძლევა იგის მხოლოდ სხვებთან ერთად ნადირობის მეშვეობით შეეძლო.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე]

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. საკუთარი თავის შეცნობა ხშირად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.